

თბილისის სააპელაციო სასამართლო
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

*მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის*

# სააპელაციო შესაგებელი ადმინისტრაციულ საქმეზე

| | | |
|---|---|---|
| საქმე №3ბ/733-16 | აიპ „მწვანე ალტერნატივა" | მანანა ჩოხელი |
| | აპელანტის სახელი, გვარი (სახელწოდება) | მომხსენებელი მოსამართლის სახელი და გვარი |

## მოწინააღმდეგე მხარე:

| | | |
|---|---|---|
| მესამე პირი<br>შპს „არ-ემ-ჯი გოლდი" | 225359947 | ბოლნისის მუნიციპალიტეტი, დაბა კაზრეთი |
| სახელი, გვარი (სახელწოდება) | პირადი (საიდენ.) ნომერი | ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი) |
| თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1/9 | | |
| ალტერნატიული მისამართი | | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 995 32 2 4745454 | | | info@richmetalsgroup.com |
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |

## მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი:

| | | |
|---|---|---|
| თეიმურაზ ოჩიგავა | 01023001356 | თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1/9 |
| სახელი, გვარი, ადვოკატის ხიიში ნომერი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი |
| | | იურისტი |
| ალტერნატიული მისამართი | | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 599578774 | | tochigava@richmetalsgroup.com |
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |

## საკონტაქტო პირი:

| | | | |
|---|---|---|---|
| სახელი, გვარი | სახლის ტელ. | მობილური | ელექტრონული ფოსტა |

*ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სააპელაციო საჩივარსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები საჩივრისთვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ საჩივრისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.*

*ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge*
*ნიმუში ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge*

# სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

საჩით:

დასაბარებელი პირის სტატუსი შენიშვნა-6

სახელი, გვარი (სახელწოდება) პირადი (საიდენ.) ნომერი ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-7

## ეთანხმებით თუ არა სააპელაციო მოთხოვნას?

დიახ ☐
არა ☒
ნაწილობრივ ☐
რომელ ნაწილში?

შენიშვნა-8

# მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები აპელანტის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ უსწორობებზე

პირველ ფაქტობრივ უსწორობას - არ ვეთანხმები

აპელანტის მსჯელობას იმ ნაწილში, თუ როდის ჩაბარდა მას სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 30 დეკემბრის №21/1610 წერილი, საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვს, ვინაიდან შ.პ.ს. „არ-ემ-ჯი გოლდის" 2014 წლის 29 დეკემბრის განცხადებაზე ადმინისტრაციულ წარმოებაში აიპ „მწვანე ალტერნატივის" ჩართვის ვალდებულება სააგენტოს არ გააჩნდა, თანახმად ორჰუსის კონვენციის 1-ლი დანართის მე-16 პუნქტისა. აღნიშნულის დასაბუთება სასამართლოს 17.03.2016წ. გადაწყვეტილების 7.4. პუნქტშია მოცემული.

სრულიად გაუგებარია აპელანტის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს სასამართლოს გადაწყვეტილების 4.1.5., 4.1.6. 4.1.7. და 4.1.10. პუნქტებით დადგენილი იქნა ფაქტობრივი გარემოება ლიცენზიის და არა მისი ნაწილის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ. გადაწყვეტილების 4.1.5. პუნქტში პირდაპირ მითითებულია, რომ შ.პ.ს. „არ-ემ-ჯი გოლდის" 29.12.2014წ. წერილით მოთხოვნილი იყო ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება დანართში მოცემული X და Y კოორდინატების ფარგლებში. 4.1.6. პუნქტში მითითებულია, რომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოსაგან ეცნობა შპს „არ-ემ-ჯი გოლდის" მიერ ლიცენზიის ვადის გაგრძელების თხოვნის შესახებ. 4.1.7. პუნქტში მითითებულია, რომ სამინისტრომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს სთხოვა განემარტა, მითითებული კოორდინატების ფარგლებში არსებული ტერიტორია ექცეოდა თუ არა ძეგლის სტატუსმოხსნილი „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს ოქროს მაღაროდ" წოდებული ობიექტის ფარგლებში. ხოლო გადაწყვეტილების 4.1.10 პუნქტში კი აღნიშნულია, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 31.12.2014წ. №478/ს ბრძანებით შპს „არ-ემ-ჯი გოლდის" №0010 ლიცენზიის მოქმედების ვადა გაგრძელდა 2020 წლის 1 იანვრამდე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2597 განკარგულებით განსაზღვრული კოორდინატების ფარგლებში.

სასამართლოს 17.03.2016წ. გადაწყვეტილებით სრულიად მართებულად დადგენილი იქნა ფაქტობრივი გარემოება მასზედ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 31.12.2014წ. №478/ს ბრძანებით შპს „არ-ემ-ჯი გოლდის" №0010 ლიცენზიის მოქმედების ვადა გაგრძელდა თავდაპირველი სამთო მინაკუთვნის ტერიტორიის ნაწილის, კონკრეტულად კი 9 ჰექტარის ფარგლებში.

მტკიცებულება:

ა.

მე-2 ფაქტობრივ უსწორობას - არ ვეთანხმები

სრულიად დაუსაბუთებელია აპელანტის მსჯელობა იმის შესახებ, რომ თითქოს არ მოხდარა საგზაო დეპარტამენტის 30.12.2014წ. №2-03/9107 წერილით განსაზღვრული ტექნიკური პირობების შეთანხმება. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 30 დეკემბრის №2597 განკარგულებით თანხმობა გასცა ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე სწორედ იმ დაკორექტირებული კოორდინატების ფარგლებში, რაც მოთხოვნილი იყო საგზაო დეპარტამენტის ზემოაღნიშნული წერილით. შესაბამისად, სააგენტოს 31.12.2014წ. №478/ს ბრძანებით ლიცენზიის მოქმედების ვადა გაგრძელდა საგზაო დეპარტამენტის მიერ განსაზღვრული პირობის შესაბამისად. ხოლო რაც შეეხება, საგზაო დეპარტამენტის 30.12.2014წ. №2-03/9107 წერილში აღნიშნულ სხვა პირობებს, იგი წარმოადგენს მითითებას ზოგადად კანონმდებლობის მოთხოვნებზე, რომლის შესრულების ვალდებულებაც ისედაც საავტომობილო გზით მოსარგებლეზეა.

მტკიცებულება:

ა.

მე-3 ფაქტობრივ უსწორობას - არ ვეთანხმები

უსაფუძვლოა აპელანტის მითითება იმის შესახებ, რომ თითქოს გადაწყვეტილების 4.1.13 პუნქტის მიხედვით სასამართლოს მიერ დადგენილი იქნა ფაქტობრივი გარემოება ლიცენზიის ნაწილის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ. ასეთი რამ გადაწყვეტილების ხსენებულ პუნქტში საერთოდ არ არის ნახსენები. მითითებულ პუნქტში მკაფიოდ აღნიშნულია, რომ შპს „არ-ემ-ჯი გოლდის" №0010 ლიცენზიის თავდაპირველი სამთო მინაკუთვნის ფართობი შეადგენდა 193.79 ჰა-ს და ამ ფართობში №0010 ლიცენზია შპს „არ-ემ-ჯი გოლდს" წიაღით სარგებლობის უფლებას ანიჭებდა 2015 წლის 1 იანვრამდე. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 31.12.2014წ. №478/ს ბრძანებით კი №0010 ლიცენზიის მოქმედების ვადა გაგრძელდა 2015 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 1 იანვრამდე მთავრობის 30.12.2014წ. №2597 განკარგულებით განსაზღვრული კოორდინატების ფარგლებში, რომლის თანახმად №0010 ლიცენზიის სამთო მინაკუთვნის ფართობმა შეადგინა 9 ჰა.

## მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები დავის ახალ ფაქტობრივ გარემოებებზე

შენიშვნა-11 შენიშვნა-12 შენიშვნა-13 შენიშვნა-14

პირველ ახალ ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა.

## ახალი ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-15 შენიშვნა-16 შენიშვნა-17

1. ახალი ფაქტობრივი გარემოება

შეუთითებლობის საპატიო მიზეზი

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☒

შენიშვნა-18

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სააპელაციო საჩივარი განუხილველად უნდა დატოვოს?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☒

შენიშვნა-19

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

დიახ ☐ რომელი საფუძვლით?

არა ☒

შენიშვნა-20

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სააპელაციო საჩივრის აღძვრას?

დიახ ☐ რომელი საფუძვლით?

არა ☒

შენიშვნა-21

## მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები აპელანტის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებზე

შენიშვნა-22

სინამდვილის შეუსაბამოა აპელანტის მითითება იმის შესახებ, რომ თითქოს სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალებიდან და ცალმხრივად, ტენდენციურად არის შეფასებული. ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება თითქოს იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება პრაქტიკულად შეუძლებელია.

აპელანტის ასეთი განცხადება, არ გამომდინარეობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შინაარსიდან და მოკლებულია დასაბუთებელ, არგუმენტირებულ მსჯელობას. სასამართლოს 2016 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება სრულყოფილად არის დასაბუთებიული და სსსკ 394-ე მუხლის „ე" და „ე" პრიმა პუნქტების დარღვევებს ადგილი არ ჰქონია.

## მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები აპელანტის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ უსწორობებზე

შენიშვნა-23 შენიშვნა-24

სასამართლომ თავის გადაწყვეტილებით მართებულად მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები კანონშესაბამისია, არ ყოფილა დარღვეული მათი მომზადების და გამოცემის წესი, ამასთან აქტები მიღებული იქნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

აპელანტი დაუსაბუთებლად მიუთითებს, რომ თითქოს სასამართლომ დაარღვია სსსკ 393-ე მუხლის „ა", „ბ" და „გ" პუნქტების მოთხოვნები, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და რომ თითქოს არასწორად განმარტა კანონი. ასევე სრულიად უსაფუძვლოა სსსკ 249-ე მუხლის მე-4 ნაწილის დარღვევაზე აპელირება, ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სრულყოფილად არის გადმოცემული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასება, სასამართლოს დასკვნები და გამოყენებული სამართლის ნორმები. მაგრამ, ვინაიდან აპელანტისათვის მიუღებელი აღმოჩნდა გადაწყვეტილებაში ასახული სამართლებრივი მსჯელობა და სასამართლოს დასკვნები, ეს ნამდვილად არ ასაბუთებს მისი მხრიდან „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა" ევროპული კონვენციის მე-6 მუხლისა და თუ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის დარღვევის შესახებ მტკიცების საფუძვლიანობას.

აპელანტი დაუსაბუთებლად მიუთითებს სსსკ 102-ე მუხლის პირველი და მესამე, აგრეთვე 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევებზე და აღნიშნულის საილუსტრაციოდ საქმეზე არასწორად დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნევს იმას, რომ თითქოს სასამართლოს დასკვნის მიხედვით სსიპ გარემოს ეროვნული

სააგენტოს 31.12.2014წ. №478/ს ბრძანებით კომპანიის ლიცენზიის მოქმედების ვადა გაგრძელდა საქართველოს მთავრობის 30.12.2014წ. №2597 განკარგულებით განსაზღვრული კოორდინატების ფარგლებში, რომლის მიხედვითაც სამთო მინაკუთვნის საერთო ფართობმა შეადგინა 9 ჰა. ამის შემდეგ აპელანტი თვითონ ასკვნის, რომ თითქოს გაგრძელდა ლიცენზიის ნაწილის და არა ლიცენზიის მოქმედების ვადა. შემდგომ აღნიშნავს, რომ სასამართლომ არ მისცა შეფასება იმ გარემოებას, რომ 9 ჰექტარი არის საყდრისის საბადოს ფარგლებში დამტკიცებული სამთო მინაკუთვნის საერთო ფართობის 193,79 ჰა-ს შემადგენელი და რომ სააგენტოს ბრძანებით გაგრძელდა ლიცენზიის და არა მისი ნაწილის მოქმედების ვადა.
აპელანტის ასეთი დამაბნეველი და გაუგებარი მსჯელობის საპირისპიროდ უნდა ითქვას, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებაში არსად საუბარი არ არის ლიცენზიის ნაწილის (!) ვადის გაგრძელებაზე. ლიცენზია თავისთავად ნიშნავს წიაღით სარგებლობის უფლებას. ლიცენზიას გააჩნია სამთო მინაკუთვნი, რომლის ფარგლებშიც ლიცენზიანტს ენიჭება ბუნებრივი რესურსების მოპოვების უფლება. №0010 ლიცენზიის სამთო მინაკუთვნი 2015 წლის 1 იანვრამდე იყო 193,79 ჰა. ხოლო ვადის ამოწურვის შემდეგ, 2015 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 1 იანვრამდე №0010 ლიცენზიის მოქმედების ვადა გაგრძელდა მხოლოდ 9ჰა-ის ფარგლებში, ანუ №0010 ლიცენზიის სამთო მინაკუთვნი 2015 წლის 1 იანვრიდან შეადგენს მხოლოდ 9 ჰა-ს, რომლის კოორდინატებიც განსაზღვრული იქნა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2597 განკარგულებით და რომელიც აპელანტის მიერ სართოდ არც ყოფილა გასაჩივრებული.
აღნიშნული უდავო ფაქტობრივი გარემობა კი, ორჰუსის კონვენციის 1-ლი დანართის მე-16 პუნქტის გათვალისწინებით, ვინაიდან 01.01.2015წ-დან №0010 ლიცენზიის საფუძველზე ღია წესით კარიერის დამუშავების ფართობი არ აღემატება 25 ჰექტარს, გამორიცხავდა ლიცენზიის ვადის გაგრძელების განხილვაში არასამთავრობო ორგანიზაციის დაინტერესებულ მხარედ ჩართვის ვალდებულებას.
აპელანტი მიუთითებს ასევე სასკ მე-4 და მე-19 მუხლების დარღვევებზე და აღნიშნავს, რომ სასამართლომ არ გამოითხოვა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მტკიცებულებები და ინფორმაცია. კერძოდ, არ შეაფასა განცხადების წარდგენიდან ერთ დღეში რამდენად იყო შესაძლებელი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება, იმ პირობებში, როცა გადაწყვეტილების მიღებისას სავალდებულოა სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა.
უნდა აღინიშნოს, რომ აპელანტი არ ასაბუთებს, თუ რომელი ნორმის საფუძველზე და რა ფორმით იყო აუცილებელი საკითხის განხილვაში სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა, ან რატომ არ იყო შესაძლებელი რეალურად სამი და არა ერთი დღის განმავლობაში სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება. როგორც საქმის მასალებით დადასტურებულია, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შესაბამისი ინფორმაციები იქნა გამოთხოვილი ერთის მხრივ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან, რომელმაც დაადასტურა, რომ ვადის გაგრძელებისათვის მოთხოვნილი სამთო მინაკუთვნის ნაწილი იდენტური იყო სტატუსმოხსნილი ძეგლის ფართობისა და მეორეს მხრივ, გზების დეპარტამენტისაგან, რომელმაც სხვა ზოგად და კანონით ისედაც გათვალისწინებულ მოთხოვნებთან ერთად წარმოადგინა პირობა კოორდინატების დაკორექტირების შესახებ, რაც გათვალისწინებული იქნა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2597 განკარგულების გამოცემის დროს და შესაბამისად, სწორედ გზების დეპარტამენტის მიერ მოთხოვნილი კოორდინატების ფარგლებში იქნა გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის №473/ს ბრძანებით შპს „არ-ემ-ჯი გოლდისათვის“ №0010 ლიცენზიის მოქმედების ვადა გაგრძელებული.
გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ნათელია, რომ არცერთი ფაქტობრივი უსწორობა ან სამართლებრივი დარღვევა, რაზეც აიპ „მწვანე ალტერნატივის“ საჩივარშია საუბარი, არ დასტურდება, რის გამოც წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის მოტივით.

## მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-25

მოწმე — ფაქტ. გარემოება(ები) — საპატიო მიზეზი

ექსპერტი — ფაქტ. გარემოება(ები) — საპატიო მიზეზი

სპეციალისტი — ფაქტ. გარემოება(ები) — საპატიო მიზეზი

შენიშვნა-26

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, ახალი მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის თაობაზე.
1.

შენიშვნა-27

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შენიშვნა-28

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

შენიშვნა-29

## სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-30

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☒

შენიშვნა-31

ესაჭიროებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?

დიახ ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?

არა ☒

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

## თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

**დიახ** ☐ მორიგების პირობები:

**არა** ☒ რადგან

## თანდართული საბუთების ნუსხა

დანართი 1: მინდობილობა 1 (ფ.)
ფურცლების საერთო რაოდენობა: 10 ფურცელი.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ ☐

არა ☒ რადგან

შენიშვნა-35

რა დრო დაგჭირდებათ საქმის ზეპირ განხილვაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში გსურთ დავის განხილვის დასრულება?

1 სხდომაში რადგან

შენიშვნა-36

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ ☐

არა ☒ რადგან

შენიშვნა-37

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ალტერნატიულ მისამართზე დროის ოპტიმალური შუალედი: 10:00 - 14:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ ☒

არა ☐ რადგან

შენიშვნა-38

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებებით დაადასტურებთ მას ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

ონიგავა თეიმურაზი 31/აგვისტო/2016წ.

ხელმოწერა ხელმომწერის სახელი, გვარი შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მისვლის ან გამოგზავნით ფოსტის მეშვეობით. როგორც წესი, წარმოდგენილ უნდა იქნას შევსებული ფორმის ელექტრონული ვერსიაც (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სააპელაციო შესაგებელი არ არის წარმოდგენილი ნაბეჭდი ფორმით). სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

დანართი №1

№ 488/1

Date 31.08.2016

RMG

GOLD

# მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

წინამდებარე მინდობილობის ძალით, მე, შპს „RMG Gold"-ის (ს/ნ 225359947) გენერალური დირექტორი ალექსანდრე ცაპლინი ვანიჭებ უფლებამოსილებას კომპანიის იურისტებს: ვახტანგ ფარესიშვილს (პ.ნ. 01030002760), თეიმურაზ ოჩიგავას (პ.ნ. 01023001356), მიხეილ სამხარაძეს (პ.ნ. 18001008737), დიმიტრი მანჯავიძეს (პირადი №01005001863) და ლაშა ასლანიშვილს (პ.ნ. 01002027190), მასზედ, რომ მათ ერთობლივად ან ცალ-ცალკე განახორციელონ შპს „RMG Gold"-ის ინტერესების წარმოდგენა და დაცვა სასამართლო პროცესებში სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დავებზე, ნებისმიერ სასამართლო ინსტანციაში ნებისმიერი საპროცესო მოქმედების შესრულების უფლებით, რაც კანონით მინიჭებული აქვს მხარეებსა და პროცესის ნებისმიერ მონაწილეს, მათ შორის იმ უფლებით, რომ მარწმუნებლის სახელით აღძრან (წარადგინონ) სარჩელი (შეგებებული სარჩელი), შეცვალონ სარჩელის (შეგებებული სარჩელის) საგანი და/ან საფუძველი, დაამთავრონ საქმე მორიგებით, გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილებები, აღსასრულებლად წარადგინონ სააღსრულებო ფურცელი და მონაწილეობა მიიღონ სააღსრულებო წარმოებაში.

მინდობილობა ძალაშია მისი გაცემის დღიდან და მოქმედებს 1 (ერთი) წლის ვადით.

ალექსანდრე ცაპლინი
გენერალური დირექტორი

RMG Gold LLC, GEORGIA
RMG
GOLD
225359947

შპს RMG Gold, თბილისი 0160, მ. ალექსიძის ქ. №1/9, ტელ: +995 32 247 45 45; ფაქსი: +995 32 291 38 61;
LLC RMG Gold, №1/9 Aleksidze Str. 0160 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 247 45 45; Fax: (+995 32) 291 38 61